



საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA

ინსტრუქცია

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის
საფასურის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის
პირობების შესახებ

SBA-REG-025

თბილისი
2014 წელი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ინსტრუქციის შემუშავების მიზანია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ში სწავლის საფასურის გადახდის, სწავლის საფასურის კორექტირებისა და შეღავათების გამოყენების პირობების დარეგულირება.

ინსტრუქცია დამტკიცებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის დირექტორის 2014 წლის 4 მარტის № 038 ბრძანებით

ინსტრუქციაში ცვლილებები შესულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის დირექტორის 2015 წლის 25 სექტემბრის №122 ბრძანებით

ინსტრუქციაში ცვლილებები შესულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის დირექტორის 2018 წლის 23 ივლისის №071 ბრძანებით

ინსტრუქციაში ცვლილებები შესულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის №079 ბრძანებით

ინსტრუქციაში ცვლილებები შესულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის დირექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის №089 ბრძანებით

ინსტრუქცია

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის პირობების შესახებ

მუხლი 1. სწავლის საფასურის ოდენობა

1. სწავლის საფასური ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განისაზღვრება ღირებულების ბრძანებით;
2. სწავლის საფასური არ იცვლება მოცემულ საფეხურზე სტუდენტის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში;
3. სწავლის საფასური არ მოიცავს სასწავლო მასალების, სხვადასხვა ფასიანი სერვისების, დიპლომისა და მისი დანართის გაცემის საფასურს;
4. პროფესიული კრედიტის ღირებულება განისაზღვრება პროგრამის ღირებულების გაყოფით პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობაზე.

მუხლი 2. სწავლის საფასურის კორექტირება (შეღავათები)

1. თუ ერთი ოჯახიდან ერთდროულად სწავლობს ოჯახის ორი ან მეტი წევრი, ოჯახის ერთ წევრს სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით.
შენიშვნა: ოჯახის წევრი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით და დასტურდება იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლოს პროგრამის ღირებულება განსხვავებულია, შეღავათი ეხება მათ შორის უმაღლესი ღირებულების მქონე პროგრამას.
2. თუ სტუდენტი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდან, მას სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით;
შენიშვნა: სტატუსი უნდა დადასტურდეს შესაბამის ორგანოს მიერ გაცემული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით. ამ შეღავათით სარგებლობის მიზნებისათვის რეგისტრული ქულა არ უნდა აღემატებოდეს 70000-ს.
- 2¹. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური შესაძლოა კორექტირდეს აკადემიის ღირებულების გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება ღირებულების ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
3. სწავლის საფასური კორექტირდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში. არაფორმალური განათლების აღიარების ან წინმსწრები განათლების ფარგლებში ათვისებული კრედიტების ჩათვლის შემთხვევაში, აღიარებული/ჩათვლილი კრედიტების ოდენობის შესაბამისად, აღიარებული/ჩათვლილი კრედიტების ღირებულების 60%-ის გამოქვითვით.
4. აკადემიის მიერ გაცემული ძალაში მყოფი საგრანტო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, სწავლის საფასური კორექტირდება გრანტის ოდენობის შესაბამისად. საგრანტო თანხა ნაწილდება ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი პირობების პროპორციულად.

5. თუ სტუდენტი წარმოდგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტირების გავლისა და დადებითი შეფასების დამადასტურებელ დოკუმენტს, ასეთი გამოცდის ჩაბარებიდან ერთი წლის ვადაში, სწავლის საფასური კორექტირდება 15%-ის ოდენობით.

მუხლი 3. შეღავათების გამოყენება

1. თუ პირს ეკუთვნის ერთდროულად რამდენიმე შეღავათი, გამოიყენება მათ შორის უდიდესი.
2. შეღავათების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის.
3. შეღავათის გამოყენება დასაშვებია **საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის კონტრაქტის** გაფორმებისას, შეღავათით სარგებლობის დამადასტურებელი ძალაში მყოფი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მიუხედავად წარმოდგენილი დოკუმენტის სახისა, სტუდენტზე შეღავათი არ გავრცელდება იმ სასწავლო წელს. შეღავათით სარგებლობა დასაშვებია მომდევნო სასწავლო წლიდან ზემოაღნიშნული პირობის დაცვით.

მუხლი 4. სწავლის საფასურის განსაზღვრა შეღავათის არსებობის შემთხვევაში

1. სტუდენტის სწავლის საფასური, თუ ის სარგებლობს შეღავათებით, განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სადაც მიეთითება შეღავათის მინიჭების იურიდიული საფუძველი და თანხა ასევე ჩაიწერება კონტრაქტში;
2. დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს თან უნდა დაერთოს შეღავათის გამოყენების დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი ან მისი დამოწმებული ასლი.

მუხლი 5. სწავლის საფასურის გადახდა

1. სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს სტუდენტთან შეთანხმებული პირობებით და წესით, კონტრაქტის დანართის (დანართი 1) საფუძველზე.
2. სწავლის საფასურის პირველი ნაწილის გადახდის ვადაა სტუდენტთან გაფორმებული კონტრაქტის ძალაში შესვლიდან 10 კალენდარული დღე, ხოლო დანარჩენი კონტრაქტის დანართით განსაზღვრულ დროს;
3. სწავლის საფასურის რამდენიმე ნაწილად გადახდის შემთხვევაში, გადახდის ვადები განისაზღვრება კონტრაქტის დანართით;
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი გადახდის ვადების დარღვევისათვის პროფესიულ სტუდენტს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა გადასახდელი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
5. გადახდის დღე ითვლება ვადაგადაცილებულ დღედ;
6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთიან ბაზაში „რეგისტრანტად“ დარეგისტრირებისთვის პირს გადახდილი უნდა ქონდეს მოსაკრებლის სახით 200 ლარი. სწავლის გაგრძელების შემთხვევაში აღნიშნული თანხა ჩაითვლება სწავლის საფასურში;

7. გადავადების შემთხვევაში, სწავლის საფასურის სრულად დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სწავლების პერიოდს.
8. სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით, დაწესებულების საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანით ან გადარიცხვით.
9. გადახდილი სწავლის საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება;
10. სტუდენტზე სწავლის საფასურის დარიცხვა ავტომატურად გრძელდება სტუდენტის სტატუსის შეჩერებამდე ან შეწყვეტამდე. სტუდენტი, რომელიც ადრე წყვეტს სწავლას, ვალდებულია ამის შესახებ ადმინისტრაციაში დაარეგისტრიროს წერილობითი განცხადება. განცხადების დარეგისტრირება წარმოადგენს სწავლის საფასურის დარიცხვის შეწყვეტის საფუძველს;
11. დარიცხული სწავლის საფასურის გაუქმება დაუშვებელია;
12. სწავლის საფასურის გადახდის პირობების დარღვევა წარმოადგენს პირისათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ან სტატუსის შეჩერების საფუძველს.

მუხლი 6. სწავლის საფასურის გადახდა უცხოენოვან პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ, რომელთაც ესაჭიროებათ სასწავლო ვიზა

1. უცხოენოვან პროგრამაზე სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს 300 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში;
2. სარეგისტრაციო მოსაკრებლის უკან დაბრუნება შესაძლებელია აპლიკანტის განცხადების საფუძველზე, სავიზო პროცედურების დაწყებამდე. თანხის უკან დაბრუნების საკომისიო გამოაკლდება სარეგისტრაციო მოსაკრებელს. სხვა შემთხვევაში სარეგისტრაციო მოსაკრებელი უკანდაბრუნებას არ ექვემდებარება.
3. სწავლის სრული საფასური გადახდილი უნდა იქნეს აპლიკანტის სავიზო პროცედურების დაწყებამდე;
4. გადახდილი სწავლის საფასური ან მისი ნაწილი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირს უარი ეთქვა სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთაზე;
5. სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ ჩაითვლება სწავლის საფასურში.

მუხლი 7. ამოღებულია